დანართი (ეგზემპლარი 2)

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“

წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ (შემდგომში - კომპანია) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. კომპანიის სახელწოდების ინგლისური ტრანსლიტერაციაა United Water Supply Company of Georgia.

3. კომპანია დაფუძნებულია სახელმწიფოს მიერ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით, ხოლო პარტნიორის უფლებამოსილებებს ახორციელებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიის 100% წილის მმართველი - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (ს/კ: №204564845).

4. კომპანია წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან და არსებობს განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 2. კომპანიის სამართლებრივი ფორმა

1. კომპანიის სამართლებრივი ფორმა არის „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება“ (შემოკლებით - შპს).

2. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია წარმოადგენს იურიდიულ პირს.

3. კომპანიის სრული დასახელებაა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“.

4. კომპანიას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი და ანგარიშ(ებ)ი ბანკში, აგრეთვე, შეიძლება ჰქონდეს ბეჭედი, საფირმო და დადგენილი წესით რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები.

5. კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №76ᵇ.

6. კომპანიის ელექტრონული ფოსტის მისამართია: info@water.gov.ge

მუხლი 3. საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

1. კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

ა) წყლის მოპოვება და მოსახლეობისა და დაწესებულებების მომარაგება სასმელი წყლით;

ბ) ფეკალური სითხეების გაწმენდა და წყალმიმღებში ჩაშვება;

გ) წყალგაყვანილობისა და წყალარინების სისტემების პროექტირება, მშენებლობა, მონტაჟი, შეკეთება და ექსპლუატაცია;

დ) წყალგაყვანილობისა და წყალარინების სისტემების შემადგენელი ელემენტების წარმოება-შეკეთება;

ე) წყლის და ფეკალური მასების საწმენდი ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებების, ტექნიკური საშუალებების წარმოება;

ვ) ვაჭრობა წყალგაყვანილობისა და წყალარინების სისტემების ელემენტებით, წყლისა და ფეკალური მასების საწმენდი ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებებითა და ტექნიკური საშუალებებით.

2. კომპანიას, აგრეთვე, უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, კომპანიისა და პარტნიორის ინტერესებს.

3. კომპანია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, აუცილებელი ლიცენზიებისა და ნებართვების საფუძველზე.

4. კომპანიის ძირითადი მიზანია მოგების მიღება, წესდებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების შედეგად.

მუხლი 4. კომპანიის კაპიტალი და კომპანიის ქონება

1. კომპანიის კაპიტალი შედგება პარტნიორის შენატანების ჯამისგან.

2. დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვის მიზნით, კომპანიას უფლება აქვს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოიზიდოს თავისუფალი სახსრები, როგორც იურიდიული, ასევე - ფიზიკური პირებისაგან, მიიღოს გრანტ(ებ)ი და აიღოს მიზნობრივი სესხი.

3. კომპანიის კაპიტალი შეიძლება შეიცვალოს პარტნიორის გადაწყვეტილებით.

4. კომპანიის კაპიტალის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციას არ საჭიროებს.

5. კომპანიის კაპიტალის არაფულადი შენატანის ღირებულებას განსაზღვრავს აკრედიტებულ შემფასებელთა სერტიფიკაციის ორგანოს მიერ სერტიფიცირებული შემფასებელი.

მუხლი 5. პარტნიორის უფლება-მოვალეობანი

1. კომპანიის პარტნიორი პარტნიორის უფლებამოსილებებს ახორციელებს პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით.

2. პარტნიორს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს კომპანიის საქმიანობაში წესდებით გათვალისწინებული წესით;

ბ) მოითხოვოს კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტები, გაეცნოს მათ პირადად ან დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით, გააკეთოს დოკუმენტის ასლები, მოითხოვოს ინფორმაცია დირექტორისაგან, აგრეთვე, მოითხოვოს განმარტებები კონკრეტულ საქმიანობებთან დაკავშირებით;

გ) წლიური ანგარიშისა და ყველა პუბლიკაციის მიღების, აგრეთვე, უფლება აქვს შეამოწმოს წლიური ანგარიშების სისწორე და ამ მიზნით, გაეცნოს კომპანიის დოკუმენტაციას ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში განსაზღვრული ფორმებით. თუ აღნიშნული ანგარიშის დამტკიცებამდე აღმოჩნდება, რომ ანგარიშში არსებითი შეცდომაა, ანგარიშის შემოწმების ხარჯები ეკისრება კომპანიას;

დ) მონაწილეობა მიიღოს კომპანიის მოგების ან სხვა საკუთრების განაწილებაში, მის საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული წილების ოდენობის შესაბამისად;

ე) მოითხოვოს კომპანიის კონკრეტული საქმიანობის ან მთლიანი წლიური ბალანსის შემოწმება, თუ მიიჩნევს, რომ ადგილი აქვს დარღვევებს;

ვ) განახორციელოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

3. პარტნიორი ვალდებულია:

ა) დაიცვას კომპანიის წესდება;

ბ) იმოქმედოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6. კომპანიის ხელმძღვანელი ორგანოები

კომპანიის ხელმძღვანელი ორგანოებია:

ა) პარტნიორთა საერთო კრება;

ბ) დირექტორი.

მუხლი 7. პარტნიორთა საერთო კრება

1. კომპანიის მართვის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა საერთო კრება.

2. პარტნიორთა საერთო კრების მოწვევისა და ჩატარების წესი განისაზღვრება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

3. პარტნიორთა საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც.

4. კომპანიის პარტნიორს ან კომპანიის დირექტორს შეუძლია, ერთი კვირის ვადაში, მოიწვიოს პარტნიორთა საერთო კრება დაზღვეული წერილის გაგზავნით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა ადრესატის მიერ ინფორმაციის მიღების დადასტურების საშუალებას. წერილი უნდა შეიცავდეს დღის წესრიგის პროექტს. მოწვევის მიღებიდან 3 დღის ვადაში პარტნიორს შეუძლია დღის წესრიგში დამატებ(ებ)ის შეტანა.

5. პარტნიორთა საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი.

6. პარტნიორთა საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.

7. იმ შემთხვევაში, თუ პარტნიორთა საერთო კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, პარტნიორთა საერთო კრების მომწვევს შეუძლია, იმავე წესითა და იმავე დღის წესრიგით ხელახლა მოიწვიოს პარტნიორთა საერთო კრება.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მეორე პარტნიორთა საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია მაშინაც კი, თუ მასზე არ გამოცხადდება ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი.

9. პარტნიორთა საერთო კრება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საკითხების გარდა, ასევე, გადაწყვეტილებას იღებს შემდეგ საკითხებზე:

ა) კომპანიის ბიზნესგეგმის დამტკიცება და მისი შესრულების მიმდინარეობის კონტროლი;

ბ) კომპანიის დირექტორის შრომის ანაზღაურების განსაზღვრა, მასთან სამსახურებრივი ხელშეკრულების დადება და შეწყვეტა;

გ) დამოუკიდებელი აუდიტორის მოწვევა;

დ) კომპანიაში ინვესტიციების ოდენობის განსაზღვრა;

ე) დამატებითი შენატანების მოცულობისა და შენატანის ვადების განსაზღვრა;

ვ) ქონების შეძენა, გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა, ჩამოწერა, რაც სცილდება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს;

ზ) კომპანიის მიერ კრედიტ(ებ)ისა და სესხ(ებ)ის აღება;

თ) კომპანიის მიერ მოთხოვნის უფლების სხვა პირისათვის გადაცემა ან დათმობა;

ი) კომპანიის კაპიტალის ცვლილება.

10. პარტნიორის წერილობითი გადაწყვეტილება (მათ შორის, წერილი, ბრძანება და სხვ.) პარტნიორთა საერთო კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებად.

11. პარტნიორთა საერთო კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, როდესაც ყველა პარტნიორი წერილობით ეთანხმება განსახილველ საკითხს.

12. პარტნიორის უფლებამოსილებები განისაზღვრება, აგრეთვე, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შორის 2010 წლის 5 ნოემბერს გაფორმებული „შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ხელშეკრულებით.

მუხლი 8. დირექტორი

1. კომპანიის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ენიჭება დირექტორს.

2. დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პარტნიორთა საერთო კრება.

3. დირექტორი უფლებამოსილია, მინდობილობის გარეშე, დამოუკიდებლად იმოქმედოს კომპანიის სახელით და წარმოადგინოს კომპანია მესამე პირებთან ურთიერთობაში.

4. დირექტორი უფლებამოსილია, კომპანიის თანამშრომლებს მიანიჭოს უფლება, კომპანიის სახელით იურიდიული მოქმედებების განხორციელების (მათ შორის, ბრძანების გამოცემის) ასევე, წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების (მათ შორის, მესამე პირებთან ხელშეკრულების დადების) განხორციელების შესახებ.

5. დირექტორის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებები განისაზღვრება ამ წესდებითა და კომპანიის დებულებით.

6. დირექტორი ვალდებულია:

ა) კომპანიის საქმეებს გაუძღვეს კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია კომპანიისათვის;

ბ) იმოქმედოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, განახორციელოს კომპანიის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, დაიცვას კომპანიის ქონება, საქმიანი რეპუტაცია და კონფიდენციალურობა, საფრთხე არ შეუქმნას კომპანიის გადახდისუნარიანობას და კონკურენტუნარიანობას;

გ) საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, სათანადო პირობები შექმნას კომპანიის ეკონომიკური საქმიანობის ამსახველი საბუღალტრო დოკუმენტაციის და კომპანიაში შესული და გასული ყველა სახის კორესპონდენციის აღსარიცხად;

დ) თუ კომპანია გადახდისუუნაროა ან გადახდისუუნარობის საშიშროების წინაშე დგას, ბრალეული გაჭიანურების გარეშე, მაგრამ კომპანიის გადახდისუუნარობის დადგომის მომენტიდან არა უგვიანეს 3 კვირისა, განაცხადოს ამის თაობაზე „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით;

ე) კომპანიის მართვისას დაიცვას „მეწარმეთა შესახებ“, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონების, საქართველოს საგადასახადო კოდექსის, საქართველოს შრომის კოდექსის, საქართველოს სხვა კანონმდებლობისა და ამ წესდების მოთხოვნები;

ვ) პარტნიორის წინასწარი თანხმობის გარეშე პირადი სარგებლის მიღების მიზნით არ გამოიყენოს კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა მისი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამო. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია დირექტორის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ 3 წლის

განმავლობაში. აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სამინისტროს წარმოეშობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

7. თუ დირექტორი არ შეასრულებს ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დაკისრებულ მოვალეობას, კომპანიის წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

8. კომპანიის დირექტორი ერთპიროვნულად ახორციელებს კომპანიის მართვას ამ წესდების საფუძველზე და პირადად აგებს პასუხს საქმიანობის შედეგებზე, მათ შორის, დებს ხელშეკრულებებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ხსნის ანგარიშებს ბანკში, საჭიროების შემთხვევაში, პარტნიორთან შეთანხმებით იღებს სესხ(ებ)ს, ნიშნავს და ათავისუფლებს კომპანიის თანამშრომლებს, წყვეტს მათი წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს, გამოსცემს ბრძანებებს კომპანიის ძირითად და მიმდინარე საქმიანობასთან დაკავშირებით, გასცემს მინდობილობებს კომპანიის თანამშრომლებზე, უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის, სტანდარტებისა და ნორმების დაცვას კომპანიის საქმიანობის ყველა სფეროში.

9. დირექტორი ვალდებულია წინასწარ აცნობოს პარტნიორს კომპანიის ქონებაზე მოსალოდნელი ყადაღის დადების საშიშროების შესახებ.

10. დირექტორი ვალდებულია, პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე, დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შესახებ და უფლება მისცეს გაეცნოს კომპანიის დოკუმენტაციას.

11. დირექტორი ვალდებულია, ყველა გადაწყვეტილება, რომელთა მნიშვნელობაც სცილდება კომპანიის ჩვეულებრივ საქმიანობას, შეუთანხმოს პარტნიორს.

მუხლი 9. პარტნიორისა და დირექტორის ურთიერთობის თავისებურებები ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკასთან დაკავშირებით

კომპანიის დირექტორის მოადგილესთან/მოადგილეებთან, კომპანიის სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულების ხელმძღვანელებთან შრომითი ურთიერთობის წარმოშობისათვის აუცილებელია პარტნიორის წერილობითი თანხმობა.

მუხლი 10. წლიური შედეგები

1. წლიური შედეგები აისახება კომპანიის ბალანსში და საბუღალტრო ანგარიშებში, რომელსაც საფინანსო წლის შედეგების მიხედვით, დირექტორი წარუდგენს პარტნიორთა საერთო კრებას.

2. დირექტორი ადგენს წლიური და სამეურნეო მდგომარეობის შესახებ ანგარიშს, ასევე, წმინდა მოგების განაწილების წინადადებებს და წარუდგენს პარტნიორთა საერთო კრებას განსახილველად.

3. წმინდა მოგების გამოყენების საკითხი რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. აღრიცხვა და ანგარიშგება

1. საბუღალტრო და სტატისტიკურ აღრიცხვას კომპანია ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოცულობითა და პერიოდულობით.

2. სულ ცოტა 6 (ექვსი) თვეში ერთხელ დირექტორი წარუდგენს ანგარიშს პარტნიორთა საერთო კრებას, მათ შორის, კომპანიის ბიზნესგეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

3. წელიწადი (სამეურნეო წელი) მოიცავს პერიოდს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 12. კომპანიის საქმიანობის კონტროლი

1. კომპანიის საქმიანობას აკონტროლებს პარტნიორთა საერთო კრება.

2. კომპანიის საფინანსო საქმიანობის კონტროლისათვის კომპანია იწვევს დამოუკიდებელ აუდიტორს, სულ ცოტა 1 (ერთი) წლის ვადით.

3. სახელმწიფო კომპანიის საქმიანობას აკონტროლებს ამ წესდებით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 13. პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტა

1. კომპანიის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი თავისი ქონებით.

2. კომპანიასა და კომპანიაში დასაქმებულ(ებ)ს შორის არსებული სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებით. ასეთი შეთანხმების არ არსებობის შემთხვევაში, დავა შეიძლება გადაწყდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

მუხლი 14. კომპანიის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. კომპანიის არსებობის შეწყვეტა შეიძლება განხორციელდეს:

ა) რეორგანიზაციით (შერწყმა, გარდაქმნა, გაყოფა);

ბ) ლიკვიდაციით;

გ) გაკოტრების საქმისწარმოების დასრულების შესახებ სასამართლოს განჩინებით.

2. კომპანიის ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა საერთო კრება ან სასამართლო, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

3. კომპანიის რეორგანიზაციის/კომპანიის გაკოტრების საქმისწარმოების დაწყების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კომპანიის პარტნიორთა საერთო კრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. პარტნიორთა საერთო კრება კომპანიის ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად ნიშნავს ლიკვიდატორს. ლიკვიდატორი კომპანიის ლიკვიდაციის პროცესს წარმართავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. კომპანია რეორგანიზებულად/ლიკვიდირებულად/გაკოტრებულად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

მუხლი 15. დამატებითი პირობები

1. წესდების ერთი ან რამდენიმე მუხლის ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს წესდების გაუქმებას.

2. წესდებაში ცვლილების შეტანა დაიშვება პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით. წესდებაში ცვლილება ძალაში შედის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში შესაბამისი ცვლილებების რეგისტრაციის მომენტიდან.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე რეგისტრირებული ცვლილება არის წესდების განუყოფელი ნაწილი.

4. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში შეტანილი სავალდებულო ფაქტების ცვლილება, ასევე, საჭიროებს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციას. ცვლილება ძალაში შედის მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

5. წესდება შედგენილია 5 (ხუთი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად.